

ყოველთვიური

სალიტერატურო და სამხატვრო ჟურნალი

თოლაგულისის საკრებელი

№ 1.

თბილისი, 1919 წ.

აჭრელი.



6

F-5782
11657-537

მ ა რ ა ნ ა მ ა რ ა

ფიქრთა უღრანი ტყეების მისტიურ გაუვალბაში, ადამიანის მაღალი სული ძიებით საზრდოობს.


პატარა კაცები მალე აღწევენ მიზანს, ინდივიდუალური ბრძოლისა და დაუსრულებელი ძიების განგრძობის გუნება ეკარგებათ და მიკვებებიან სხვებს, ყურს უგდებენ, იმერობენ...

პოეტი ხელოვანი არაერთარ სკოლას არ უნდა ეუფეთოდეს, რომელიც შეუქმნია სხვას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის თავისი უსახო მისვლით ზედმეტი სტუმარი იქნება პოეზიის შოთაელსახეებიან ღარბაში და კამერდინერი მას უარს ეტყვის.

პოეტმა ყველას უნდა დაურიგოს თეთრი მარმარილოს ფურცლები, რომელზეც მას დახატავს თითოული.

ყოველმა პიროვნებამ უნდა მოიხადოს ქუდი, თუ ახალ ლექსს, ან მოთხრობას კითხულობს, ახალ სურათს მზერს, ახალ შექმნილ მუსიკას ისმენს და გააჩუმოს თლილი გიშრის, კრიალოსანი, რა წამს თვალს შეავლებს სცენაზე გამოსული პიესა.

დაიმორჩილეთ ყველამ უძვირფასეს გამოთქმათა და უნაზეს მიმღეობათა სიმასტე, რომ მხიარული იყოს ახალი სახეების გამოცხადება!..



შეგოდგომა „შმანკო ჩასახვის“
მამათა სავანეში.

ამ წინსს, ამ ივნისს, ამ ივლისს,
გადირვეს ნოემბრის ბაღები.
მსურველე ვნებები გამივლოს,
სასახლის ჩაჭრება ჭაღები.

ღარჩება აუხთან სანდალი
და ძველი ფოთლები, ყვითელი
რომანზე ისვენებს შანდალი,
რომანში შეშლილი სკვითელი.

ვეწვევი განდევნილ მამათა
„შმანკო ჩასახვის“ სავანეს;
იქ შავი თოვლივით დამათოვს
ქვარტლი და ბურუსი თავანის.

სიმკაცრით შემხედვას საშენი
თაღები შეკრული კამარის,
ჯვარს ეცვი, თუ ვინდა! საშველი
არ არის, არ არის, არ არის!

დაპჭრიან უღაბნო ქარები,
მტანჯავენ და ვიცი: გახსოვარ!
სამრეკლოს ანგრევენ ხარები
წმინდაო, წმინდაო მაცხოვარ!

გრიგალთა სადაურ შებერვას
ნისდევნენ ფოთლების შვავები;
თებერვალს უხმობენ, თებერვალს
სამრეკლოს ჯვარიდან ყვაეუბი.

და ვიცი ღელუათა საგანი,
როდესაც ღამეა უკუნი,
და ჩემი მღუმარე საგანი
და ცეცხლის მტანჯველი გუგუნი.

ერთგვარად მიიტანს ამ ხახის
წმინებას ოცნება—მტკივანი,
ვაზელებს—მგოსანი სასახლის,
ხელთათმანს—სასახლის მდივანი.

უცნობ ქალს კაბარაში

ცამეტ ქვასავით აინთება მწვანე კაბარე,
დაჭრილ სკვითივით როილი შოგვისაღმება;
შენი თვალები ვაიშლება ღამის პალაშებანდ
ნეტამც გამბადა: აშუაშაგის მვისრაბარი!

ენატრობ ყაბახებს გამარჯვება მერვოს პირველი,
და შემაჩვრდეს შენი სახე მღვრიის ქარვისა,
ამაყ მზერაში ჩაიწოდეს ჩემდ გაისი.
შენი თვალების ფერადიდან გამომჟვირული!

არ იქნებოდით ქალბატონო ჩემი მსაჯული.
ყვითელ სარკესი გამოხედვა ესერაბაში,
მეჩვენებოდი ჯიროთის დროს ვით სერაბაში
ყარყუმის ქულში ვარდისფერი მანასაჯურით.

და საზანდარშიც ითოვლებდა ნისლი მთაიური.
დაკლექდებოდა შავს თვალებში ვგ სიამაყე;
როგორც კადეში მაიმედებს მე თეოზაყი,
შენი შემოსვლა და გიგური უვერტაურა!

1917 წ.

ჩაქვინ ვაეცაძე.

ლაზო - სონეტი.

ჩუქურთმად მ...ს.

სიკვდილს უჭირავს ხელში ჩემი ბედის ყანთარი.
შენზე ოცნება ჩემს იარებს ველო აშუშებს.
როცა ღამეში წვიმა ნესტავს თანჯრისა შუშებს. —
ცივია ხედვა შენი სახის როგორც ზამთარი.

ვალად აღნიშნავს ჩემს ცხოვრებას ყოფნის დავთარი.
მიეყიდი ბრმა ბედს საღუშმანოთ ცოდვის ჯაშუშებს.
მოეწონებათ თამამ ქცევით ჩემი სჯა ბუშებს. —
როცა შენს მკერდზე ავადლელებ დანას აფთარი.

მეგრაძე... მაიმუნჯებს ღამის ლანდთა ქცევა ქურდული.
როგორც სუსტ ტუსაოს მამარტოებს ვალოს ურდული.
მანამებს ფიქრი სვედით საფსე და უღაბური.

ო! როს უავიკებს: ასიკვდილს ებრძვი, გაბარობს ლაბური. —
მსწრაფლ გამოგიკეცა, სამარის ქვას ძველ ჩუქურთმებით,
და... მერე ჩემს თავს მეც დაეინრობ შენს შუქურ თიებიით.

შალვა კარმელი.

სამერდის ჩაჩჩო

მე ქალზე უფრო შემიყვარდა სონეტის ფორმა:
ხავერდის რკალში ოქროთვალით მეტად მწყობრია.
მეფურ ჯიბითის ქაშინდები ჩვენ ვიცით ორმა.
ვიცი თა ტაეპთა მოშვილდული ჯვარ-ღვედობრია.

აეხორცე ქეიფში დიონისო დამმეგობრია.
ქარვის მეფისქალს მაძმობილა ცრემლების თქორმა.
ნელ სიმღერებში რაც ჩემ სულის სახელდობრია,—
ჟველას საცქერათ აიტაცა ხივრცეში ქორმა.

ვეფურცლავ სქელ წიგნებს, ძველ რვეულებს, ლურჯ ლექ-
სიკონებს.

ვდარაჯობ სიტყვებს მეფე, მონა და მადებარი.
არის რიფშიბი სამუდამო, მკრთალი, მგზნებარი.

გულის თარეში აჩუქურთმებს ხატულ სტრიქონებს,
ურცელ ხალიჩაზე: ცისარტყელა, ქნარი, დაფინე,—
დიანას ფეხთა საროკავათ მე დავაფინე!

სონეტი გიორგი სააკაძეს.

ზევადი სახე ივერიის სევდით ტყვედრია.
თარეშობს ბული ზედ ცხირეთის და მარაბედის.
კვნესის აჩრდილი: ინდოეთის, მწველ, არაბეთის.
ბაღდათი, ავღან, ყანდაარი სისხლს გაყვედრიან.

თავხვედ მტრისათვის შებრალება არ გივედრია.
გათარბდა ბოლი ჯებირებზე დამწვარ აბედის.
გარბბს ყორზიბაშ, ფეიქარხან წყულ გზაბედის.
მაგრამ სიახლე გადატეხილ ხმალს არ ხვედრია.

ვერავ მაჰნაბას დაუჩოდილე მზის მუხარადი.
დიდებულ გურჯით სახელობდენ სპარს-ოსმალები.
წმინდა გიორგის, თეთრ გიორგის, ქება მარადი!

საქართველოში მას შხამავდენ სარობი ავალები!
ღალატით დევნილს ბრმა მახვტილი გულზე დაესო...
ერის სიმბოლოვ! ო, სარდალო უზენაესო!..

ტ რ ი მ ლ ე ბ ი

მარგალიტები და გიშრები, რომ ატირდებან,
 იაგუნდები დაიშხვრევა ზურმუხტ-ლალებად,
 ჩუმი ხიმღერა დატყდება და ანაფირდება,
 მარგალიტები და გიშრები რომ ატირდებან.
 ზამთრის თველები ზღაპრების თქმას მე დამპირდება.
 დაილევინ ვარსკვლავები მზის ვალალებად,
 მარგალიტები და გიშრები რომ ატირდებან,
 იაგუნდები დაიშხვრევა ზურმუხტ-ლალებად.

რა უღ ვოგობია.

კ ა ვ ა ლ კ ა დ ა

გაჰვის რკალებით გამოკრთიან თველები გრემან,
 როცა ვშიშვლდები, ვით სარკეში, მარად შენ წინა:
 ქცევა გულწრფელი, უშიშარი, ალბათ, გეწყინა:
 შენი ცქრილი კამათია და ეპიგრამა.

მწყდება ილაჯი. ვხვდები. ვკრები მწარე ფიქრებად.
 ციების ბნელის დარდით ვკოცნი ბარათში კინას.
 მოულოდნელად შემობრუნდი და დაგვიძინა.
 ურწმუნობა დაგაწვება, როგორც დაღვრემა.

მოსაწყენია ჯიუტობა ჩვენი უვადო.
 მეწამულ ხახვირებს გაგშორდები შენი რაული:
 გამოთხოვების ბარადებში ტრაურს ავანთებ.
 იქ ფიცს მოიხსნის ჩემს წინაშე მზე კავალკადა,
 და ოდეს უცბად გავაფიფქვლები ვით სურავანდი,
 ზურგს შემომაქცევს უგემურად ბევრი შენს გარდა.

სალამი უველას.

სალამს ვარიგებ მხიარული, როგორც წყალობას,
მე იახში ვარ! ტოლუმბაშმა ვინც ადღევრძელოს;
მისტორ გზებზე ჩემი ბედის გაუცალობეს
არ ვაფიქოლებ არასოდეს შეარყელ ანგელოსს.

მე მღაბალ ძმებათ ველიარე ბევრი ამაყი,
რომ ვერ უწვდნენ მოკლე ხულებს მაღალ ბაღდათებს.—
თუა ქორწილი მეც უთუოდ ვარ ბაშმაყარი,
მოგიკვდეთ—ხათრი დაფუქციო ჩხაერის ადათებს.

ა ვ ი ს ი ზ მ რ ე ზ ი.

მოღლილ ფიქრების ვიარები მე თხილამურით,
სიხმრებში მტანჯავს დაუნდობლათ ღამის შორავვი.—
ედემში შევალ, ანგელოზნი შიცქერენ შურიით,
ხან ჯოჯობეთში სტუმარივით გამოკეცავვი.

ენახვ მეგობარს სიყრპიდანვე მე რომ მიყვარდა,
გუშინ რომ მიწას მივებარეთ. — იქ აჭურში სტურაქს.
არათერს ამბობს ღამის ფერი სიჩუმის ვარდა
და მე კი მესმის:— „არ წარმოვსთქვამ ბედის სამღეროავს!“...

ვაჭკრა, მეგრამ ჰა!... სულ სხვა სახე აქ ინაკვთვება—
წითელი თმები აბურძგელილი, თვალ ამღერფული,
ჩამოვლენილი ტანსაცმელი ფენთ ეხლაროვება
„ე...ჰეი!...—ლოიალესს...“ არ მიწოდოთ გადარეტული!...

მზემ ფეხი დამწვა ნეტა როდის გააკლარდებია!...
—და ვაყინებულ ხელებიდან სიხსოს იწმენდს ფუროთხით—
ვანაგრძობს ისევე:—ტაში, ტაში რა მეღარჯება!
მითხარიო გიყებს რატომ სდევნიო, ან რატომ ტყუარბიო!

შავი ხავერდის ტანსაცმელი მსურს შევიკერო,
ჩემს წითურ სახეს შევღებარო ხომ მოუხდებია?...
სეფედარბაზი... დედოფალი... დენდი... პიერო...
მე ღმერთივით ვარ ჩემთვის ნურვინ ნუ შესწუბდებია!...

იცვლება წამი... თითქოს მე ვარ ბოროტ ქუჩაზე,
ბედვადამწკარი მათხოვარის ბინძურ ძონძეხით,
დღევანდელ ვალაშებ პირუტყვივით ერთ აღუზაზე —
შოდის ვამეღელი და მამცირებს გროშის პოქებით.

არ მცილდებიან აბჯარი ქუჩის ბიჭები,
ყესტებს მახამვენ, ზოგნი მცემენ; მუშტებს მიღერენ, —
დავიწმაწნები, საცოდავთ დავილოჯგენი,
მუქარის შიშსქვეშ უნებურათ ჩემდა მამცირენ...

შველ კაფეში... მიხარია ვერ შემანძინეს —
ყავა და ღვინო, მწვადები და ხაჭაპურები,
აღბრული მადა ნერწყვს მიხშირებს, ხელენს მადშენივებს,
კეოილ კაცს ვეძებ, აქეთ ექით გავიყურებ.

უცებ ლაქია... მერეგება ძალღივით გარეთ,
ვილაც თავადი დაინახავს და გაჯაკრდება, —
თავადმა ღვინო მომწოდა მიწო მოყვარეთ;
— ავიღებ ჭიქას

და

უცრათ ხელთ ვამვარდება...

სირცხელი... შიში... ჯერით გული გამეყინება,
მსურს აქეკითინდე, ავადიოო ცრვმლებით სხვები,
სამოდამოთაე რომ დაბნელდეს არ შეწყინება,
არ შენანება ძვირფასი შის ოქროს სხივები...

ასე მაწამებს ავ სიხმრებში ავი პურანი;
მოლილ მოქანტულს აისზე რომ კანცლივდება,
თუმცა მე არ მწამს სახარება და არც ყურანი —
უცებ მატყვევებს საიქიოს კდემით ძიება.



კოკი ებრაელიძე.

ტ რ ი ლ ლ ე ტ ი

მე ხალხისაგან ცნობილ გიჟათ დავიარები,
რუსთაველის პროსპექტზე, ვით წვიმიანი ქარი,
სულს სტანჯავს მზის ფრჩხილებით დაჭრილი იარები,
მე ხალხისაგან ცნობილ გიჟათ დავიარები.
განმკითხავი არეინ მყავს თუ საით მივიჩქარი
ასე იბლათ მოკვდები, უღეთოდ, უზიარები;
მე ხალხისაგან ცნობილ გიჟათ დავიარები,
რუსთაველის პროსპექტზე, ვით წვიმიანი ქარი.

ლიენა დანი

ი რ მ ე ბ ი.

დავიკრებ იმელს
მწყვესელათ მომეჩვენება
მომეფერები
შემათროლოვებ ნელი ამბორით
დაგიშლი წყენით
სიხლოვე თუმცა მწყურდება
მე მეშინია
უცხო თვალი
ჩვენიანები
შენი აღერსი
როგორც ლექსი ნაზი
თავგორის
მე მიმარინდებს
მერე ამბორს უფრო ახშირებ
უცებ, ოთახში
შემოდინ ბნელში ქურდები
და ჩამოვლილ თმებს შევაფერებ
შიშისგან
შირმეშს
ისევე შენ მოხვალ
შემოიყვან ჩვენს ძალში ირმებს
მოხვალ და მოსვლა სიხარულით
გამიხარდება...

შ. ლორდელი.

აუტო - და - ფე.

კონცერტი, ბალი ღრუბლიან გულს ვერ მოგვრის დარებს;
მემაე ჭაღვით თავს მომაწყენს ქვეყნის ყურება;
სული ნისლოვან ტრაუტრქბით შეიბურება.
უკნობი ლანდი ჩამომირეკს მგლოვიარ ზარებს.

ძალმიხდილ ხელით გამოვალეძ ოთახის კარებს,
მათი ქრიალი გულში ცუნესია ჩაბხურება,
შეწყდება ჩემთვის მუნჯ ოთახის ყრუ ხმაურება,
და ხშიან ქუჩებს ლენცით ვაულებ ნაბიჯთა პწკარებს.

ლიუციფერივით ჩაეეშვები ბნელ საჩაეში,
აქ მომიხდება ანტუბული ათასფრად კაფე
და თუ ვერ გავძლებ კვიე ბრინჯაოს ხოსუფთავეში,
სულს დაპატიყებს წრთელ სახლის აუტო - და - ფე;
იქ ბილწ ალერისში ვადაშატრობს რღვევის ამინდი
— შე ვარ დასისხლულ შოროტების გიქი მაინდი.

გადანი ფრინა

გადანიფრინა სიზმარეთმა გარიფრაგების,
მომსკდარი ღვარით წაიღეკა ყვავილნარები,
გადაიბურდა გზა მლიზარი ცეკვით ნარები,
თვალს შიეფარა მოლოზიდება თეთრი რაშების.

დამიმივობრება ცივი ზამთრის მე დეკემბერი:
თან მახლავს მუღან ქუსხტი ყინვა და ბოროლანში,
შაეი გრიგალი მესხიზმრება თვლემა — ბურანში,
ფიქრს არ ასვენებს ქარი ცივით წამონახერი

ბედი აღმიკვეთს მე ხეტიალს საქართველოში,
სიმი გაწყდება მგლოვიარედ ანამღერ თარის,
მუნჯი საფლავი გაითხრება ველურ მდელიოში
და ჩემთან ერთად აქ მოკვდება ავი ზამთარი.

ტ რ ი მ ლ ე ტ ე ბ ი.

ლილის.

ჩემს ლექსებში ნისლი დაიბანაკებს
და მაისის მზიან ქორწილს არ ევლი,
მწუხარება მოყვითაჲსიანაგებს;

ჩემს ლექსებში ნისლი დაიბანაკებს.
ეტორება გულს ეკლვსუღ დაზავებს.
მითხარ ლილი, ვიხლა მექნეს მთაველი.
ჩემს ლექსებში ნისლი დაიბანაკებს
და მაისის მზიან ქორწილს არ ევლი.

ვინ ესტუმროს კოშკს ბადანშით ანაკებს,
ვინ მამღეროს თმის წაბლისფერ ფოთლებში!
ბრილიანტით ესტუყვავ თვალთა დანაკებს;
ვინ ესტუმროს კოშკს ბადანშით ანაკებს.
ჩემს ოცნებას დალოდილობა განაკებს.
აღარ შრება ღვიწი თანებ-ბოთლებში.
ვინ ესტუმროს კოშკს ბადანშით ანაკებს,
ვინ მამღეროს თმის წაბლისფერ ფოთლებში.

არ ვხევირობ ლექსს ბრწყინვალეს და ნაქებს,
ჩამქრალია ტრფიალების სანთლები.
ბრილიანტით ესტუყვავ თვალთა დანაკებს;
არ ვხევირობ ლექსს ბრწყინვალეს და ნაქებს.
მითხარ ლილი დამიბრუნებ წამაკებს.
თუ გადავსცე სხვას ბედის კამათლები?
არ ვხევირობ ლექსს ბრწყინვალეს და ნაქებს
ჩამქრალია ტრფიალების სანთლები.

ის იყო ფიქრი გამიგვრანდა,
 მომწყინდა ბაღი, კაფუა კომლორტი,
 წაბსული ყრმობის თეთრი ვერანდა,
 მაგონებოდა ვით ეწათოტი.

ბე აღარ მსურდა სიმღერა წრფელი,
 სამათ დავსტეხე, სუსტი ლუქწამი
 რა
 ვით ამ ლექსში გაჩნდა წიფელი,
 გამოძეცხადა სათუთი წამი,—

თვალეზი მუნჯი იადონია,
 მომღვრალია გულის აჩარტის
 კოლხეთის ბაღში ვნახე დონია,
 იგი
 პირველი ყვავილი მარტის.

ფოთოლთა შრიალი.

ობლით ემოგზაურობ გზას ეუდგვიარ ტყიანს,
 თვალნი ვერ ხედავენ პირველივ ადამიანს.

ბუნება მღუმარებს, სიჩუმეში მკრთალი,
 მისტიურ შიშს ჰბადებს ფოთოლთა შრიალი...

ფრთათეთრი, ოქნება მომეჩვენა, გაჰქოა,
 მომხამულმა ფიქრმა გული დამიხაფრა...

განგაგრძობ სიარულს იდუმალ ბილიკით,
 იდუმალ ბილიკით... იქით... იქით... იქით...

ნელი ზაზები.

„მეოცნებე ნიამორები“

ქუთაისში ვ. გაფრინდაშვილის და ა. ცირეკიძის რედაქტორობით გამოიცა სალიტერატურო ჟურნალი „მეოცნებე ნიამორები“.

სახელის არჩევანში, უეჭვოდ მიტყუებული აქვს ყურადღება სიტყვების მხატვრულ ხმაურს და რედაქტორებს ამ მხრით უარი არ ეთქმის.

ჟურნალის სათაურის სიტყვების ხმაური სტოვეებს შთაბეჭდილებას თითქოს დაბინდულ ქაოსში ექანება ვამოუსნობი შეერთება ნიავისა და მორევის და იქმნებიან დაუსრულებელი ფანტასტიური სურათები...

ჟურნალის გარეგნული ფორმა ვერ არის არჩეული.

მონაწილეობენ: გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ტიცინ ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, შალვა აუხაიძე, კოლაუ ნადირაძე, გრ. ჯაფარი, შალვა კარმელი, რაჭდენ გვეტაძე, სანდრო ცირეკიძე.

ლიენა ლანი.

„შემოდგომის ცრემლები“

მიმდინარე წლის იანვრის რიცხვებში ქ. ქუთაისში გამოიცა დია ჩიანელის ნოველებისა და ლეგენდების წიგნი „შემოდგომის ცრემლები“.

პირველი წიგნი ახალგაზდა მწერლის

ცხოვრებაში ერთგვარი მისი ფერის ცვალებბა. აქ პირველად აღის ავტორი მწერლობის თაბორის შთაბე. ათასი თვალი მნიშვნელობა მისკენ ცნობის მოყვარე მოლოდინში. ყველას სწყურია დაინახოს: შეიმოსება იგი ბრწყინვალე ნათელით თუ დაჰკარგავს იმ. მუქსაც, რომელსაც აქაჰდე თან ატარებდა. სამწუხაროდ დია ჩიანელს ეს უკანასკნელი ხვდა წილად. მისი წიგნი უფერულია და ჩრდილს აყენებს მის სახეს. დაწერილია წვერ-მაგარი კალმით: ლამაზ ხაზმოსმებს თან ახლავს თეთრ ნარევი ნამძაღდვეი ხაზები. ხშირია დრო გადასული ბუნების აღწერა, მოძველებული სტილი და სიტყვების მოსაწყენის სრესა, მეტადრე ეს უკანასკნელი. აქვს ლამაზი მხატვრული გამოთქმები: მაგრამ ისინი მწერლის ხელში კლიშეთ არის ქცეული. ავტორს ვერ უნახავს ჯერ თავისი სახე, ვერ უპოვია თავისი კალამი: ეხერხება ფაბულის გამოძებნა, მაგრამ მისთვის შესაფერი სამოსი ვერ მოუქსოვია. ამ მხრით მას უსათუროდ დიდრ მუშაობა მართებს.

ვერ გვაკმაყოფილებს აგრეთვე გამოცემის სახე. იგი იაფ-ფასიან პოლიტიკური შინაარსის ან და საკოლოპერაციო ბროშურას უფრო გვაგონებს, ვიდრე მხატვრულ გამოცემას. ასეთი უყურადღებობა არ მოეცემა: ახალგაზდა ავტორი.

შ. ლ - ი.

გ. მეგრელიშვილი. სამფერი ბაი-
რალი ეჭირა ხელში, როცა მტრის უნდო
თვალი შეუსწორდა მის ნათელ სახეს:
ავაზაკმა შემთხვევამ არ დაინო ნახი გული
და დამიხნებულმა ტყვიამ განგმირა სამ-
შობლოს თავისუფლების მცველი „ჯარის“
კაცი პოეტად, მეგრელიშვილი. ეს მოხდა
ამ წლის იანვრის რიცხვებში, ახალცი-
ხეში თათრების ბრბოებთან ბრძოლის
დროს. ის ჯერ 22 წლის ახალგაზდა იყო.
ლექსების ბეჭდვა რომ დაიწყო 15 წლის
არც კი იქნებოდა. პირველათ სწერდა
ფსევდონიმით „მთისნიავი“. — შემდეგ
ნამდვილი გვარით — „გ. მეგრელიშვილი“. მის
უკანასკნელ ლექსებს ტეხნიკის მხრით
უქვეო წარმატება ემჩნევა — ამავე ყურ-
ნალში დაბეჭდილი „ტრიოლეტები“, ყურ-
ნალ „აისში“ — „ჩემი მადამი“ და ქუთა-
თურ გაზ. „ჩვენს ქვეყანაში“ უკანასკნე-
ლათ დაბეჭდილი ლექსები, უთუოდ იმ-
სახურებენ ყურადღებას. მაგრამ ნიკიერ
პოეტს ცამ აღარ დააცალა სიმღერა „თმის
წაბლისფერ ფოთლებში“ და ჩვენდა გულ-
დასაწყვეტათ უეცრათ და სამუდამოთ
გაუფარდა ხელიდან „კამათლები“.

გრ.

პოეტური ფელეტონები.

ქართული პოეზია ჯერ კიდევ ვერ
არის „ჭვირფას ახალში“. ბევრ პოეტებს
არ გაუძვირიათ ლურჯი ბლუზები და პოე-
ზიას ვერ დაუტოვებია შემთხვევით კა-
ლთა გაშლილი პარტიული გაზეთები.

რამდენიმე თვის წინათ, პოეტური ფე-
ლეტონებით გამოვიდა ქუთათურ გაზ.
„ხალხის მეგობრის“ ორი ნუმერი და
ერთი გაზ. „საქართველოსი“ — პირველში
შესანიშნავია თავისი სიახლით პაოლო
იაშვილის ლექსი „წერილი დედასთან“.

— მეორეში (გაზ. „საქ.“ ფელეტონში)
გრიგოლ რომაქიძის კლასიკური ასხმის
სონეტი „აქლემი“, რომელშიც ქალური
და ვაჟური რითმები ერთმანეთს სცვლიან.
ფორმის მხრით ეს ერთად ერთია ქარ-
თულად დაწერილ სონეტებში და არ შე-
ვცდებით თუ გამოცდილ ხელოვანის კა-
ლმის შედეგათ ჩავთვლით. იქვე არის
ტიციან ტაბიძის ინტიმური ლექსი „ბიბრ-
გამიის ტყე“, რომელსაც მეგობრულათ
გამოეხმაურა „ჯვარის წყრები დაისში“. საზოგადოთ არც ერთი უშნო ლექსი არ
არის ამ ფელეტონებში დაბეჭდილი: მხო-
ლოთ უცნობი ავტორის გრძელ ლექსს
„ალერსის ბალს“ შეაქვს დისონანსი
საერთო შთაბეჭდილებაში.

ს.

რედაქტორი: გრიგოლ ცეცხლაძე.

ქვეყნის
თოლაბულისის
სარტყელი

წლიური ფასი—35 მან., ნახევარი წლით—20 მან., სამი თვით—12 მან.
ცალკე ნომერი 5 მან.

მისამართი—თბილისი, სს. ქუჩა, № 5 „თოლაბულისის სარტყელის“ რედაქცია.
რედაქტორი: გრიგოლ ცეცხლაძე.

იგეგმება
გალაკტიონ ტაბიძის
ლექსების მეორე წიგნი.

[10-]

2²³/16

ფანა 5 მან.